ქ.თბილისის მერიას

გორგასლის N61 მობინადრეთა

მ ი მ ა რ თ ვ ა

გაცნობებთ, რომ ჩვენს საკადასტრო ერთეულზე N01.18.06.005.034 მიმდინარეობს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომლის სამხრეთის მხარეს გაედინება ღია ტიპის ზედაპირული წყალი. აღნიშნული ზედაპირული წყალი, ასევე გაედინება 01.18.06.005.056, რომელზეც არის ახალად აშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები(ფოტო-1) და მის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. (იხ. სიტუაციური ნახაზი)



ფოტო-1

ჩვენს მშენებარე ობიექტსა და ახადაშენებულ კომპლექსს შუაზე ჰყოფს უსახელო არხი(ფოტო-2).



ფოტო-2

აღნიშნული არხი ჩვენი ტერიტორიის მოსაზღვრედ შემოდის დახურულ სივრცეში, ე.წ. „კოლექტორში“(ფოტო-3), ხოლო დარჩენილი ნაწილი, სამშენებლო ობიექტის გასწვრივ, მიედინება ღია სივრცეში და შემდგომ არხი ისევ ჩაედინება დახურულ კოლექტორში(ფოტო4).



ფოტო-3



ფოტო-4

ჩვენთვის უცნობია აღნიშნული არის წარემომავლობა,თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული ზედაპირული წყალი გასულ საუკუნეში მოქცეულია ღრმა მიწისქვეშა კოლექტორიში და დარჩენილია მხოლოდ წარმოდგენილი ნაწილი. არხი ძლიერ დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნაგვით(ფოტო-5), მასზე დაერთებულია კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელი, რაც მუდმივად წარმოშობს მძაფრ სუნს (მათ შორის ფეკალიების), განსაკუთრებით თბილი ამიდების დროს.



ფოტო-5

არხის ტერიტორიაზე თვალნათლივ შესამჩნევია მღრღნელებისა და სხვადასხვა სახის ქვეწარმავლების არსებობა. ამასთან გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ არში ხდება ნაგვის ჩაყრა,ვინაიდან ნალექების დროს წყლის მასებს მოაქვს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც შემდგომ ილექება არხის ღია ნაწილში (სამშენებლო ობიექტის მიმდებერედ) და წარმოშობს ანტისანიტარიას(ფოტო-6). მაცხოვრებლები, რომელიც ცხოვრობენ აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ შეწუხებულები არიან კოლექტორის სუნით, რომელშიც ძირითადად თავს იყრის ფეკალური მასების ნარჩენები და იქმნება ანტისანიტარია (დაავადებების კერა).



ფოტო-6

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე მობინადრეთა ერთობლივი მომართვის (თანხმობის) საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ აღნიშნული კოლექტორის დახურვის ნებართვა შესაბამისი პროქტის საფუძველზე, რათა განვახორციელოთ არხის ღია მონაკვეთის დახურულ სივრცეში (კოლექტორში) მოქცევა. თქვენგან დადებითი პასუხის შემთხვევში, ჩვენ მზად ვართ გავწიოთ ყველა საჭირო ხარჯი, როგორც პროექტის შედგენის, ასევე ამავე პროექტის შესაბამისად მშენებლობის ხარჯების ჩათვლით. მშენებლობას განვახორციელებთ შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ. აგრეთვე მზად ვართ ერთობლივად ვუზრუნველყოთ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (გამწვანება).

ამხანაგობა „ყვავილის ქუჩა 1"-ის თავმჯდომარე

სოფიო ნიკოლაიშვილი 01017005643

შპს საინდუსტრიო-საინვესტიციო კორპორაცია მსუბუქი მრეწველობის
INDUSTRIAL-INVESTMENT CORPORATION OF LIGHT INDUSTRY LLC
204380311